

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №14

ქ. თბილისი

07.06.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი (სხდომის მდივანი);

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი დოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურჭუმიძე - დირექტორის პირველი მოადგილე;

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

გიორგი ელისაბედაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. მარინე მერაშვილი - შპს - მერცხალის დირექტორი;
2. მარიამ ქუთათელაძე - შპს - სკოლა XXI საუკუნეს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
3. თამარ კოკნაძე - შპს - სკოლა XXI საუკუნეს სასწავლო მენეჯერი;
4. ნარგიზა ქუთათელაძე - შპს - ახალი ლიცეუმის დირექტორი;
5. ირინა ზედგინიძე - შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯის დირექტორი;
6. მარიამ ხიდემელი - შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ათინათის დირექტორი;
7. მაია ცინცაძე - შპს - ბრითიმ ქონექშენის დირექტორი;
8. ანზორ შაფათავა - შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის დირექტორი;

პ. კახნიაშვილი

9. ქეთევან წულაია - შპს - თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის დირექტორი;
10. ნინო გოგორიშვილი - შპს - მომავლის სკოლის დირექტორი;
11. ერლ ორიტი - შპს - მომავლის სკოლის დამფუძნებელი;
12. ნინო ქორელი - შპს - მომავლის სკოლის კოორდინატორი;
13. გოჩა აბდუშელიშვილი - შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ დირექტორი;
14. ლალი ვაშაკიძე - შპს- არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისის“ დირექტორის პირველი მოადგილე;
15. მანანა მალაზონია - შპს- არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისის“ დირექტორის მოადგილე;
16. ვიქტორ ასათიანი - შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
17. ნინო ასათიანი - შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ადმინისტრაციის უფროსი;
18. ნინო ცინცაძე - შპს - რეცას სასწავლო ნაწილის გამგე;
19. მარინა შაყულაშვილი - შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი;
20. ელისო ამყოლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეკოლოგია და დიზაინის დირექტორი;
21. ნაზო წიბლიაშვილი - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეკოლოგია და დიზაინის დირექტორის მოადგილე;
22. მადლენა ლაბაძე - შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;

ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნინო ფეტვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მარიამ ხუციშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მაკა კაჭარავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
- თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:50 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ანა კლდიაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - მერცხალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - სკოლა XXI საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - ახალ ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა - კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ათინათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - ბრითიშ ქონექშენში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს - თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს - მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს - დამოუკიდებელ საერო გიმნაზია „შავნაბადაში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. შპს- არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
12. შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭება;
13. შპს - რეცას მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
14. შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეკოლოგია და დიზაინის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს - მერცხალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 10 და 14 მაისს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენციები (ცენტრში რეგისტრაციის №03-4369 და №03-4493) და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - მერცხალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მერცხალის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - მერცხალის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს - სკოლა XXI საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 22 მაისს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-4749) და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - სკოლა XXI საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს - ახალ ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ახალ ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალი ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ახალი ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 10, 22 და 24 მაისს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენციები (ცენტრში რეგისტრაციის №03-4360; №03-4753 და №03-4831) და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ათინათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ათინათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ათინათის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ათინათის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. შპს - ბრიტიშ ქონექშენში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - ბრიტიშ ქონექშენში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბრიტიშ ქონექშენის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ბრიტიშ ქონექშენის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

7. შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 6 აპრილს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ცენტრში რეგისტრაციის №03-3339) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი იყო გამოსწორებული. შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 90-ით. დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია 36 ორადგილიანი მერხითა და სკამით. ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტიგენტის უზრუნველსაყოფად სკოლას დამატებით ესაჭიროება 54 ინდივიდუალური მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2012 წლის 31 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება 90 სასკოლო მერხის დამზადებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ანგარიშსწორებას მყიდველი მოახდენს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 (სამუშაო) დღის ვადაში.

1.2 სკოლის მოსწავლეების აღრიცხვის ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა შემდეგი სახის დარღვევები. მაგალითად, XI კლასის ჟურნალში არ არის შევსებული პირველი და მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ცაცა კოტეტიშვილს არ აქვს ჩამოჯამებული და დახურული მოსწავლეთა გაცდენებისა და ქულების დღიური რაოდენობის გრაფები. მე-19 გვერდზე არ წერია მასწავლებლის ვინაობა. ამავე ჟურნალში მათემატიკის მასწავლებელს არ აქვს ჩამოჯამებული და დახურული მოსწავლეთა გაცდენებისა და ქულების დღიური რაოდენობის გრაფები. მსგავსი დარღვევებია სხვა საგნის მასწავლებლებთანაც. XII კლასის ჟურნალში არ არის შევსებული მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს თამარ თუშიშვილს არ აქვს ჩამოჯამებული და დახურული მოსწავლეთა გაცდენებისა და ქულების დღიური რაოდენობის გრაფები. მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა არ აქვს დამოწმებული კლასის დამრიგებელსა და სკოლის დირექტორს. ანალოგიური დარღვევებია სკოლის სხვა ჟურნალებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა სკოლის დირექტორის №162-ე ბრძანება, რომლითაც სასკოლო ჟურნალების არასწორი წარმოებისთვის საყვედური გამოეცხადათ შესაბამის პედაგოგებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

8. შპს - თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 7 ივნისს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-5514) და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზია კანდელის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

9. შპს - მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია 285 ინდივიდუალური, 26 ორადგილიანი მერხითა და შესაბამისი რაოდენობის სკამით. სკოლას, ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტინგენტის უზრუნველსაყოფად, დამატებით, ესაჭიროება 69 ინდივიდუალური მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. (მოსწავლეთა კონტინგენტი ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა 380-ით).

1.2 სკოლა ფლობს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, თუმცა ლაბორატორია სრულად არ არის გაშლილი. ინვენტარის ნაწილი განთავსებულია მუყაოს ყუთებში.

1.3 დაწესებულების ბიბლიოთეკაში არ არის გამოკრული სამუშაო საათები. სკოლის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა 2011-2012 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი შემადგენელი ნაწილი - გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდა გრიფირებული სახელმძღვანელოების გადამოწმება. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული 2011-2012 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა პედაგოგიურ საბჭოს ოქმით ან დირექტორის ბრძანებით, შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი არ იყო რეგისტრირებული ბრძანებების რეგისტრაციის წიგნში.

1.4 სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

1.5 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.6 სკოლას აქვს ერთი ცენტრალური და სამი სათადარიგო გასასვლელი. სკოლა ფლობს 8 (რვა) უსაფრთხოების კამერა, აქედან 4 (ოთხი) განთავსებულია სკოლის ეზოში, ხოლო 4 (ოთხი) - სკოლის შენობაში. სკოლას არ აქვს გარე პერიმეტრის კონტროლისათვის კამერები, რომლებიც უნდა იყოს დამონტაჟებული სკოლის ეზოს ცენტრალურ შემოსასვლელთან, აგრეთვე, უნდა მოიცავდეს ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილს და უნდა შეესაბამებოდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს.

სკოლას აქვს 3 სათადარიგო გასასვლელი, სადაც, ასევე, უნდა დამონტაჟდეს თითოეულ გასასვლელთან თითო კამერა. სკოლის მანდატურს წვდომა აქვს მხოლოდ სკოლის შენობაში

განთავსებული კამერების კადრებზე, ხოლო სკოლის ეზოში განთავსებული კამერების კადრებს მანდატური ვერ უყურებს.

1.7 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითი შემოწმებისას დაფიქსირდა შემდეგი დარღვევები: I, IV¹, IV², V¹, VI¹, VIII¹, VIII², X², XI¹ და XI² კლასების ჟურნალები არ იყო გაკვეთილზე შეტანილი. სკოლის დირექტორის განმარტებით, ამ დროს აღნიშნულ კლასებში ტარდებოდა უცხოენოვანი პროგრამა, რომელზეც არ შეაქვთ ჟურნალები. IV² კლასის ჟურნალში კლასის დამრიგებელს, მაია ქავთარაძეს, არ აქვს შევსებული მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი; X² კლასის ჟურნალში არ არის შევსებული პირველი და მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილები. არ არის შევსებული საგანთა და სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, მანანა ქარქაშაძეს, არ აქვს დაჯამებული და დახურული მოსწავლეების ქულებისა და გაცდენების დღიური რაოდენობის გრაფები.

ინგლისური ენის მასწავლებელს, თათული ბეჟანიშვილს, არ აქვს შევსებული და ჟურნალში არ აქვს შეტანილი მოსწავლეთა ქულები და გაცდენები, არ არის ჩახურული ქულებისა და გაცდენების დღიური გრაფები. ამავე ჟურნალში 220-ე და 221-ე გვერდებზე არ არის მითითებული საგნის დასახელება და მასწავლებლის ვინაობა. მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები კლასის დამრიგებელსა და სკოლის დირექტორს არ აქვს დამოწმებული; XI² კლასის ჟურნალში არ არის შევსებული II სემესტრის გაკვეთილების ცხრილი.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, მანანა ქარქაშაძეს, არ აქვს დაჯამებული და ჩახურული მოსწავლეთა ქულებისა და გაცდენების დღიური რაოდენობის გრაფები, არ აქვს დაჯამებული გვერდის მარჯვენა ბოლოს ნიშნების, ჯამურ ქულათა და გაცდენების რაოდენობები. ანალოგიური დარღვევები აქვს მათემატიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლებს. უმეტეს შემთხვევაში, არ არის დაჯამებული და დახურული მოსწავლეების ქულებისა და გაცდენების დღიური რაოდენობის გრაფები, მითითებული არ არის საგნის დასახელება და მასწავლებლის ვინაობა. ანალოგიურად, აღნიშნული დარღვევები გვხვდება სკოლაში მოქმედ სხვა ჟურნალებშიც.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ლაბორატორიის აღჭურვილობიდან გაშლილი აქვთ ის ნაწილი, რომელსაც იყენებენ, რადგან აღნიშნული ლაბორატორია მრავალრიცხოვანია.

სხდომის თავმჯდომარის, დავით კახნიაშვილის, განცხადებით, ყველა სკოლას აქვს აღნიშნული ლაბორატორია და თითოეულმა მათგანმა უნდა უზრუნველყოს აღჭურვილობების ხელმისაწვდომობა. მისი განცხადებით, სკოლაში უნდა იყოს კარადა ან თაროები, რომლებზედაც განთავსდება ლაბორატორია. ამასთან დასძინა, რომ ეს შენიშვნა სკოლისათვის სარეკომენდაციო ხასიათის უნდა იყოს და არაარსებით შენიშვნას წარმოადგენს.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში არ იყო დამტკიცებული სასწავლო გეგმა და აღნიშნული შენიშვნა გამოსწორებულ იქნა. აგრეთვე, დირექტორი არ დაეთანხმა ადაპტირებულ სველ წერტილთან დაკავშირებულ შენიშვნას და წარმოადგინა ფოტო მასალა ადაპტირებული სველი წერტილის არსებობის შესახებ. მისი განცხადებით, სკოლის ბიბლიოთეკაში გამოკრული იყო სამუშაო საათები და საბჭოს წარუდგინა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

კამერებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის დირექტორი დაეთანხმა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას და დაადასურა, რომ სკოლა საჭიროებს დამატებითი კამერების შესყიდვას, ხოლო ჟურნალებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ უცხოენოვანი პროგრამის სწავლებისას გამოიყენება აღრიცხვის ინდივიდუალური ფორმები.

საბჭოს წევრის, ნინო ძოწენიძის, განცხადებით, ჟურნალების წარმოების მიზანი არის, რომ დაწესებულებამ ზედმიწევნით აღწეროს მოსწავლეთა დასწრება და მიმართ მონიტორინგის ჯგუფს გაეკეთებინა კომენტარი აღნიშნულთან დაკავშირებით,

მონიტორინგის ჯგუფის წევრის, მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, სველი წერტილი, რომელიც ნახეს არ იყო ადაპტირებული და სურათზე წარმოდგენილი სველი წერტილი სხვაა, რომელიც მათ არ უნახავთ, ხოლო ჟურნალებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ სკოლაში უნდა მოქმედებდეს ის ჟურნალი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით არის დამტკიცებული, ხოლო თუ სკოლა იყენებს სხვა სახის დოკუმენტს, ამაზე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული სამინისტროს ბრძანება.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებულ ნებისმიერი საკითხის განხორციელებას სჭირდება სამინისტროს თანხმობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მათ აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული სწავლების განხორციელებაზე უფლება, რომელიც მონიტორინგის სამსახურმა ნახა.

მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, განსხვავებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე თანხმობა არ ნიშნავს, ჟურნალების წარმოების წესის შეცვლაზე თანხმობას.

ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილის, პეტრე წურწუმიას, განცხადებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტორიზაციის მიღების შემდეგ სკოლამ ჩათვალა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების დაცვა სავალდებულო აღარ არის და მიიჩნია, რომ საკმაო საფუძველი არსებობდა ავტორიზაციის გაუქმებისათვის. მისი განცხადებით, თუ სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმა არ გააჩნა, წარმოუდგენელია შეაფასო, თუ როგორ მიმდინარეობდა სწავლების პროცესი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - მომავლის სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის ორ კვირიანი (10 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 14 დღის ვადა.

10. შპს - დამოუკიდებელ საერო გიმნაზია „შავნაბადაში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას გააჩნია ეზო, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი ცენტრალური შესასვლელი, რომელიც იმავდროულად სერვიტუტითაა დატვირთული და ამავე შესასვლელით სარგებლობს, როგორც შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“, ისე შპს „დემეტრე 96“, რომელიც სკოლის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს. ამდენად, აღნიშნული სკოლის შესასვლელი გზის საშუალებით მოძრაობა უწყვეტ, როგორც მძიმე სატრანსპორტო საშუალებებს, ასევე სკოლის მოსწავლეებს, რაც გარკვეული საფრთხის შემცველია.

დაწესებულებამ წარმოადგინა მასალები, რომლის თანახმადაც მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სხვა დარღვევები გამოსწორებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნას, ამასთან, წარმომადგენლის თქმით, სკოლის ეზოში ტრანსპორტი გადაადგილებას იწყებს დილის 10 საათიდან, სასწავლო პროცესი კი დილის 9 საათზე იწყება, შესაბამისად 10 საათისთვის ყველა მოსწავლე უკვე სკოლის შიგნითაა. მიუხედავად ამ გარემოებისა, სკოლა აწარმოებს მოლაპარაკებას თავდაცვის სამინისტროსთან, რომელიც ახორციელებს ზემოაღნიშნულ მშენებლობას, და უკვე არსებობს ზეპირი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ სექტემბრის თვეში დასრულდეს მძიმე სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი გზისა და სკოლის შესასვლელის გამიჯვნის პროცესი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაწესებულებას ფაქტობრივად გამოსწორებული ჰქონდა ყველა ხარვეზი, ხოლო რაც შეეხება გზის გამიჯვნას, ამ შენიშვნის აღმოსაფხვრელად დაწესებულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრას, არ ექნებოდა არავითარი აზრი. შესაბამისად, სექტემბრის თვეში მონიტორინგის სამსახურს შეეძლო გადაემოწმებინა წარმომადგენლის განცხადების სისწორე.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარეების განცხადებას. საბჭომ განიხილა შპს - დამოუკიდებელ საერო გიმნაზია „შავნაბადაში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დამოუკიდებელ საერო გიმნაზია „შავნაბადას“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - დამოუკიდებელ საერო გიმნაზია „შავნაბადას“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

11. შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ჰქონდათ თუ არა მათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რისი წარმოდგენაც მათ ვერ შეძლეს. საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

12. შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის სურვილი იყო დაემატებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 წარმოდგენილი სილაბუსების უმრავლესობაში დაშვების წინაპირობად მითითებულია საშუალო განათლება.

1.2 ოფისის მენეჯერის მე-2 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სასწავლო პრაქტიკისათვის გამოყოფილია 72 სთ, შეფასებისათვის - 3სთ. სასწავლო პრაქტიკის სილაბუსის თანახმად, პრაქტიკის შეფასების ნაწილში გამოყოფილია 13 სთ. ანალოგიური შემთხვევაა გიდის მე-2 საფეხურზე.

1.3 ყველა წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში სასესიო პერიოდი მოიცავს 4 კვირას. სილაბუსების სასწავლო კურსის შინაარსის ნაწილში მე-8 ან/და მე-9 კვირა განკუთვნილია შუალედური შეფასებისათვის. დასკვნითი გამოცდა სილაბუსების სასწავლო კურსის შინაარსის ნაწილში არ არის გაწერილი.

1.4 პროგრამის შედეგების რუკაში დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ნაწილში აღნიშნული უნარები არ ემთხვევა ზოდიერთი სილაბუსის სწავლის შედეგებს, მაგალითად: ბუღალტრის პროგრამის საგნის - „მათემატიკა ეკონომისტებისათვის“ სილაბუსში გაწერილია კომუნიკაციის უნარი, რომელიც სწავლის შედეგების რუკაში არ არის აღნიშნული.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ოფისის მენეჯერის მე-2 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა იყო 3 კრედიტიანი და საათების რაოდენობა შეადგენდა 75-ს, საიდანაც 72 იყო საკონტაქტო.

კოლეჯის დირექტორის განმარტებით, ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული. ავტორიზაციის საბჭოს წევრის ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები იყო ადვილად გამოსწორებადი.

საბჭომ განიხილა შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404903565) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მასაჟისტი	III საფეხური	მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	გიდი	I საფეხური	გიდის I საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	36
3	გიდი	II საფეხური	გიდის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	36
4	ოფისის მენეჯერი	II საფეხური	ოფისის მენეჯერის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
5	ოფისის მენეჯერი	III საფეხური	ოფისის მენეჯერის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

6	ბუღალტერი	III საფეხური	ბუღალტრის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
---	-----------	--------------	---	----

13. შპს - რეცას მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

სკოლა განთავსებულია ქ. რუსთავეში დ. გარეჯის ქუჩა N 2 – ში მდებარე შენობებში. სკოლა ფლობს შენობებს განაშენიანების საერთო ფართით 2288,00 კვ.მ. შენობათა საერთო სასარგებლო ფართია 3371,28 კვ.მ. ფლობა დასტურდება აუქციონზე შეძენის მოწმობითა და ოქმით, რომელიც დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (საკადასტრო კოდი – N 02.05.05.118).

სკოლას აქვს 463 ერთეული მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. ამავე დროს დასაწყობებულია 52 ერთეული მეორადი მერხი და სკამი, რომელთა აღდგენა შესაძლებელია.

დაწესებულებას გააჩნია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული აღჭურვილობა. ისინი განთავსებულია სამ სხვადასხვა ლაბორატორიულ კლასში.

ვიზიტის პერიოდში სკოლაში დაფიქსირდა 23 კომპიუტერი (+1 მანდატურის). მათგან 19 კომპიუტერი ორ კომპიუტერულ კლასშია განთავსებული, ერთი - ბიბლიოთეკაში, ერთი - ფიზიკის ლაბორატორიაში, ერთი - დირექტორის კაბინეტში, ერთი - სამსწავლებლოში. გარდა ამისა, ერთი კომპიუტერი აქვს მანდატურს.

სკოლას აქვს შიდა და გარე პერიმეტრის სათვალთვალო 5 ვიდეო კამერა. კამერების მონაცემები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. გარდა ამისა, კომპიუტერულ კლასში დამონტაჟებული იყო ერთი სათვალთვალო კამერა გამოცდებისათვის.

სკოლაში არის პანდუსები. ვიზიტის დროს მიმდინარეობს სსსმ მოსწავლეზე ადაპტირებული სველი წერტილის რემონტი.

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან.

მატერიალური რესურსის დანარჩენი ნაწილი, სკოლის საგანმანათლებლო პროგრამები და ადამიანური რესურსის სტანდარტი თანხმობაშია ავტორიზაციის მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 460-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა 460 მოსწავლის მიღების უფლებაზე.

საბჭომ იმსჯელა შპს - რეცას ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - რეცას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 460-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - რეცას (საიდენტიფიკაციო კოდი: 216305200) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460-ით.

14. შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 160-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეემლო 156 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 156-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე დამატებით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს ჯამში 3759 -ერთეულს. მათ შორის არის პროფესიული პროგრამებისათვის საჭირო სავალდებულო ლიტერატურა.

ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს არ იყო 2 სახელმძღვანელო: ტურიზმი, ტურიზმი და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა 1.1 შენიშვნაში მოცემული წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სწავლება მიმდინარეობდა დილის 9 საათიდან 16 საათამდე. აღნიშნული დროის შემდგომ, დაწესებულება სწავლებას განახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა პროფესიულ სტუდენტთათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვრულიყო 130 პროფესიული სტუდენტით.

ცენტრის წარმომადგენელი პეტრე წურწუშია დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 130 პროფესიული სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე -12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 226155763) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისა და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 156-ით, პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 130-ით.

15. შპს - საზოგადოებრივ კოლექტურ ეკოლოგია და დიზაინის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებლში არ არის განსაზღვრული წინაპირობები. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 22 მაისს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილია №03-4746 კორესპონდენცია, რომლის თანახმად, არსებული ხარვეზი გამოსწორებულია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 400-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, განაცხადა, რომ შპს - საზოგადოებრივ კოლექტურ ეკოლოგია და დიზაინს მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 257 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - საზოგადოებრივ კოლექტურ ეკოლოგია და დიზაინის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლექტურ ეკოლოგია და დიზაინის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 257-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეკოლოგია და დიზაინს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216293375) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 257-ით.

16. შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 მომავალი წლისათვის იგეგმება შენობის გაზიფიცირება.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული შენობა არ წარმოადგენს ახალ შენობას, თუმცა გაზი არ არის შეყვანილი. მისი განცხადებით, დაწესებულებამ მიმართა შესაბამის ორგანოს და მიიღო დასტური, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება გაზიფიცირება.

ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე, პეტრე წურწუმიას, განცხადებით, დაწესებულება, თუ აღნიშნულ პრობლემას არ მოაგვარებს, მომდევნო სასწავლო წლისათვის, შესაძლოა მონიტორინგის სამსახურის მიერ გადამოწმებისას პრობლემები შეექმნას, რადგან საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მატარებელ დაწესებულებას გათბობის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 350-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, დაწესებულებას შეეძლო 350 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდანტიფიკაციო კოდი: 404916757) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:03 საათზე.

დავით კახიაშვილი
თავმჯდომარე



ანა კლდიაშვილი
მდივანი

